



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი

წევრები:

- დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
- ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
- ნინო ჯოლია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
- თამარ ძველაია, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
- მარიამ ბურმისტროვა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი ექსპერტი)

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (STAUGP) 2008 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ დაარსდა. უნივერსიტეტის დაარსების დღიდან რექტორის თანამდებობას იკავებს სხალთის არქიეპისკოპოსი სპირიდონი. უნივერსიტეტი მდებარეობს საქართველოს მთიან აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში და წარმოადგენს ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აჭარის მთიანეთში. მისი შექმნის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის კვალიფიციური უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო განათლებასა და თავისუფალ სასწავლო გეგმას.

უნივერსიტეტი მოიცავს სამ ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს, სამართლისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტსა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს. თვითშეფასების ანგარიშის (SER) მიხედვით, უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს 21 საგანმანათლებლო პროგრამას (ცხრა საბაკალავრო, ათი სამაგისტრო, ერთი ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა /300 ECTS/ და ერთი მასწავლებლის მომზადების პროგრამა /60 ECTS/), მათ შორის 16 პროგრამა აკრედიტებულია. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს სამ პროფესიულ პროგრამას (VET).

სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 656-ს (აქტიური სტატუსით), ხოლო 465 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი. პერსონალის რაოდენობა: აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა – 63; მოწვეული ლექტორები – 26; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი – 42.

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა თანდათან ვითარდება. კვლევითი პროფილის გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტის სტრუქტურაში შეიქმნა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტის კამპუსის (სასწავლო სივრცის) ფართობი შეადგენს 5,164 კვადრატულ მეტრს. კამპუსის მდგომარეობა საჭიროებს სათანადო ინვესტიციასა და მოვლას.

ავტორიზაციის პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი ადგილზე

ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში (SER) და სხვა დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც შემდგომ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები. ეს დოკუმენტები მას დროულად მიეწოდა. ადგილზე ვიზიტი 2025 წლის 29-31 მაისს განხორციელდა. ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა შეხვედროდა სხვადასხვა დონეზე და პოზიციებზე მომუშვე თანამშრომლებს როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთაც. ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის კამპუსი და ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, სწავლების მართვის სისტემა და სხვა რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას უხდის ყველას თანამშრომლობისა და ვიზიტის განმავლობაში განხილვებში აქტიური ჩართვისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმებში წარმოდგენილი საქმიანობები/მოქმედების მიმართულებები მკაფიოდ შეესაბამებოდეს სათაურებს და არ ხდებოდეს მათი დუბლირება.
2. რეკომენდებულია, ყველა საქმიანობისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულების შემთხვევაში, დეტალურად იყოს განსაზღვრული საქმიანობის შინაარსი, პასუხისმგებელი ერთეულები, განხორციელების ვადა, დაგეგმილი ბიუჯეტი და შესრულების მაჩვენებლები.
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააფუძნოს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები – სტრატეგიული განვითარების, კვლევების მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტები – რათა შეუწყოს ხელი შესაძლებლობების შეფასებასა და მომავალი განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვას. ეს ერთეულები შემდგომ უნივერსიტეტის სტრუქტურაშიც უნდა აისახოს.
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრუქტურაში, დებულების შესაბამისად, წარმოდგენილი იყოს ძირითადი სასწავლო ერთეულის მმართველი ორგანო და სტრუქტურულ ერთეულებში საკვანძო თანამდებობები შესაბამისი პირებით, რომლებიც რეალურად დაინიშნებიან ამ პოზიციებზე.
5. რეკომენდებულია, მმართველობის (მენეჯმენტის) ეფექტიანობისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და ამ პროცესში ყველა საჭირო სტრუქტურული ერთეულის ჩართვა.
6. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (QMS) განახლდეს ადამიანური რესურსების, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში.
7. რეკომენდებულია, განახლდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რათა ყველა ძირითადი რისკ-ფაქტორი იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული, დანერგილი იყოს შესაბამისი პრევენციის მექანიზმები და შემუშავდეს კომპლექსური რისკის შემცირების სტრატეგია.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება, თანამშრომლობის ქსელის გაფართოება და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განხორციელება, რაც გაზრდის უნივერსიტეტის ცნობადობასა და ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას.
9. რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რომელიც დაეხმარება პროცესების გაუმჯობესებასა და მთლიანად ხარისხის ამაღლებას.
10. რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, რათა მათი მოლოდინები გათვალისწინებულ იქნას და პროგრამები უკეთ შეესაბამებოდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. შეფასების შედეგებისა და უკუკავშირის შესახებ შესაბამისი ანგარიშებიც უნდა მომზადდეს.
11. რეკომენდებულია, გამჭვირვალობის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის ამაღლება; რეკომენდებულია უნივერსიტეტმა რეგულარულად მოამზადოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანგარიშები და შედეგების საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შეჯამება.
12. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საინფორმაციო შეხვედრები ჩაატაროს აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან პლაგიატთან ბრძოლისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
14. რეკომენდებულია, პროგრამების განახლება და გაძლიერება თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებით, რათა გაუმჯობესდეს კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციები და მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
15. რეკომენდებულია, სწავლების სტანდარტიზაციის მექანიზმების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებული და თანმიმდევრული განათლების უზრუნველყოფას.
16. რეკომენდებულია, პროგრამებში ცალკე დაემატოს სპეციალიზებული აკადემიური წერის კურსი, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევით და წერის უნარებს და გააუმჯობესებს მათ პროფესიულ მომზადებას.
17. რეკომენდებულია, პროგრამებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კომუნიკაციის უნარებს. ამისათვის საჭიროა დამატებითი კურსები, ინტენსიური სემინარები და პრაქტიკული ვორკშოპები, რომლებიც გააუმჯობესებს ენის აქტიურ გამოყენებას პროფესიულ და აკადემიურ გარემოში.
18. რეკომენდებულია, არჩევით საგნებში მრავალფეროვნების გაზრდა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა მათ შეეძლოთ საგნების არჩევა არა მხოლოდ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მასთან მომიჯნავე პროგრამებიდანაც.
19. რეკომენდებულია, ზოგადი განათლების სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამებში პედაგოგიური მოდულის საგნების გაძლიერება, რათა მომავალ მასწავლებლებს შესაბამისი უნარები განუვითარდეთ.
20. რეკომენდებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტზე მორგებული სწავლების პრაქტიკის გაძლიერებასა და აკადემიური პროცესის მოქნილობის გაზრდას.
21. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონის სამეცნიერო ნაშრომების კვლევის სიღრმე და ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს და საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.
22. რეკომენდებულია, ნაშრომების ფორმალური კრიტერიუმების დაზუსტება და ერთიანი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება, რაც უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებას.
23. რეკომენდებულია, შემუშავდეს ანაზღაურებისა და წახალისების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებთან.
24. რეკომენდებულია, სტუდენტური და მენეჯერულ დონეზე შეფასებების საფუძველზე ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირის უზრუნველყოფა.
25. რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების კრიტერიუმების, სამიზნე ნიშნულების სამუშაო აღწერილობებთან შესაბამისობის დაზუსტება და სისტემატიზაცია.
26. რეკომენდებულია, მრავალწლიანი პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, მათ შორის საერთაშორისო ტრენინგების ჩათვლით.
27. რეკომენდებულია, ინსტიტუციურ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის არჩევითი მონაწილეობის გაზრდა.
28. რეკომენდებულია, პერსონალის მხარდაჭერის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე წვდომის მიზნით.
29. რეკომენდებულია, პერსონალის რეგულარული სემესტრული შეფასებების დანერგვა ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირით.
30. რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვასა და შესრულებასთან დაკავშირებული წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.

31. რეკომენდებულია, კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერის გაძლიერება.
32. რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, რათა შეიქმნას სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობები.
33. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება.
34. რეკომენდებულია, სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირების ინიცირება.
35. რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებმა უზრუნველყონ დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარულად გაუზიარონ განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების შესახებ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
36. რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმაში კვლევის მხარდამჭერი ინიციატივების დაფინანსებასთან მკაფიოდ დაკავშირება.
37. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის კვლევით სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკურ და სხვა ორგანიზაციებთან.
38. რეკომენდებულია კვლევითი საქმიანობის საკმარისი შიდა დაფინანსების უზრუნველყოფა კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში (საპროექტო განაცხადის მომზადებიდან დაწყებული, კვლევის განხორციელებით გაგრძელებული და კვლევის შედეგების გამოქვეყნებით დამთავრებული).
39. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის მომზადება კვლევითი საპროექტო განაცხადის დაწერის ცოდნასა და უნარებში, რომლებსაც გარე კონკურსებში წარმატების შანსი ექნებათ.
40. რეკომენდებულია, ეფექტური ნაბიჯების გადადგმა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისკენ.
41. რეკომენდებულია, კვლევის მიმართულებით კავშირების დასამყარებლად, დაწესებულებამ გამოიყენოს მოწვეული პერსონალის გამოცდილება.
42. რეკომენდებულია, აკადემიური/კვლევითი პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების რეგულარული შეფასება, რასაც მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი მიღწეული შედეგების საფუძველზე.
43. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოაქვეყნოს ანგარიშები განხორციელებული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ.
44. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევის მართვის და განვითარების ეფექტური გეგმა.
45. რეკომენდებულია, სტუდენტური სივრცეებისა და უნივერსიტეტის ეზოს მოწესრიგება.
46. რეკომენდებულია, ზოგიერთი მემორანდუმის განახლება სააკრედიტაციო მოთხოვნების გათვალისწინებით (სტაჟირების ხანგრძლივობა, სტაჟირებაზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა).
47. რეკომენდებულია, კონკრეტული მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება და შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები.
48. რეკომენდებულია, კომპიუტერული აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში.
49. რეკომენდებულია, სანიტარული ობიექტებისა და სამედიცინო კაბინეტის ცხელი წყლით მომარაგებისა და გათბობის სისტემის გაუმჯობესება.
50. რეკომენდებულია, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული გარემო.
51. რეკომენდებულია, ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება სტუდენტებსა და პერსონალს შორის.

52. რეკომენდებულია, სასწავლო რესურსების განახლებასა და კატალოგის გაუმჯობესებაზე მუშაობის გაგრძელება.
53. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვებგვერდებზე მუშაობის გააქტიურება და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის განთავსება ინსტიტუციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპის ხელშეწყობის მიზნით.
54. რეკომენდებულია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის საორიენტაციო ბიუჯეტის შემუშავება შემოსავლებისა ხარჯების ნაწილში, როგორც მთლიანად უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტების ბიუჯეტების დონეზე.
55. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცალკე ხარჯვითი მუხლების გამოყოფა ბიბლიოთეკის განვითარებისა და კვლევის განხორციელება/ხელშეწყობისთვის.
56. რეკომენდებულია, ფინანსური ანგარიშგებებისა და ბიუჯეტების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
57. რეკომენდებულია, ფინანსური დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება/დანერგვა, რომელიც აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ჩართავს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, რითაც სახსრების განაწილების პროცესი უფრო მონაწილეობითი და გამჭვირვალე გახდება. ეს, თავის მხრივ, გააძლიერებს სახსრების ეფექტურ განაწილებას, პერსონალის პასუხისმგებლობასა და ურთიერთკონტროლს.

რჩევები

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეალური სტრუქტურა აისახოს სამსახურის დებულებაში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განაახლოს სტუდენტური კორპუსის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა იგი შეესაბამებოდეს როგორც მოთხოვნილ, ისე რეალურ ზღვრულ სტუდენტთა რიცხვს.
- სასურველია, პროგრამის დაგეგმვისა და გადახედვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებულ მსგავს პროგრამებთან შედარება, რაც გაზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის პოტენციალს.
- სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულად დაეუფლონ პრაქტიკულ კურსებს, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.
- სასურველია, სილაბუსებში დეტალურად იყოს მოცემული ლიტერატურა, რომელიც, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მრავალფეროვანი და რეგულარულად განახლებადი უნდა იყოს.
- სასურველია, სასწავლო გეგმაში გაწერილი თანამედროვე სწავლების მეთოდები სრულად აისახოს სილაბუსებში.
- სასურველია, სტუდენტური უკუკავშირის სტრუქტურირებული მექანიზმები გავრცელდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსების ყოვლისმომცველი შეფასება.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეისწავლოს დამოუკიდებელი დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობა, რაც შეამცირებს დონორებზე დამოკიდებულებას და გააძლიერებს პერსონალის განვითარების დაფინანსებას.
- სასურველია, ინსტიტუციური ცოდნის გამდიდრების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, დაინერგოს საერთაშორისო თანამშრომლობის და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობის ფორმალური სისტემა.

- სასურველია, წახალისდეს უფრო მეტად სტრუქტურირებული ენის სწავლება საერთაშორისო თანამშრომლობაში არსებული ბარიერების დასაძლევად.
- სასურველია, თითოეული ფაკულტეტისთვის შეიქმნას პრიორიტეტული ჟურნალებისა და კონფერენციების სია, რაც კვლევითი პუბლიკაციების ხარისხს გააუმჯობესებს.
- სასურველია, დაწესდეს წახალისების მექანიზმები იმ თანამშრომლებისთვის, ვინც ქმნის ახალ კურსებსა და აკადემიურ მასალებს.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის ძირითადი საინფორმაციო მასალების, კერძოდ კი, სტუდენტის გზამკვლევის შესახებ ცნობადობა.
- სასურველია, სტუდენტებში წახალისდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი სპორტულ კლუბებსა და სხვადასხვა აქტივობებში აქტიური ჩართულობის გზით.
- სასურველია, გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის სტუდენტების და პედაგოგების საერთო საცხოვრებლის პირობები.
- სასურველია, უნივერსიტეტის კანცელარია ინახავდეს დოკუმენტაციას ბეჭდური (ფიზიკური) ფორმით. ამასთან, ციფრული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს კომპიუტერებში, კერძოდ, “D” დისკზე.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. კერძოდ: შეიქმნას საერთო სივრცეები სტუდენტებისთვის შეხვედრებისა და კომუნიკაციისთვის; გაუმჯობესდეს და გალამაზდეს უნივერსიტეტის ეზო და გარე სივრცეები; ჩამოყალიბდეს რეკრეაციული ზონები, მწვანე სივრცეები და მცირე პარკები (სკვერები); მოეწყოს სტუდენტური სივრცეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩართულობას, თანამშრომლობასა და კეთილდღეობას. ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, უნივერსიტეტის იმიჯსა და სტუდენტების კმაყოფილებას.
- სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციას თან ახლდეს ფოტო- და ვიდეომასალა და განახლდეს ვებგვერდის დიზაინი.
- სასურველია, უნივერსიტეტმა მოიძიოს დამატებითი დაფინანსების წყაროები ახალი ამოცანების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკები

- უფასო სწავლის მოდელი.
- მომავალი უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერი მექანიზმები.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების
შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
	1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	X	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	X	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	X	☐
	2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	X	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	X	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდ ამექანიზმები	☐	X	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	X	☐	☐
	3. საგანმანათლებლო პროგრამები	☐	X	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	X	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	X	☐	☐
	4. უსდ-ის პერსონალი	☐	X	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	X	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	X	☐	☐
	5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	X	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	X	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	X	☐	☐
	6. კვლევა, განვითარება/და სხვაშემოქმედებითი საქმიანობა	☐	X	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	X	☐	☐

6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	X	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	X	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	X	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	X	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	X	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	X	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	X	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის მისია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური სიმტკიცის, სულიერებისა და გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ქმნის შესაბამის გარემოს თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის; სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს; უზრუნველყოფს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას; ხელს უწყობს მაღალი ეროვნული-სამოქალაქო თვითშეგნების და რელიგიური ტოლერანტობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 11) შესაძლებელია დავეთანხმოთ, რომ მისიის განცხადება განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. იგი ითვალისწინებს აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბების, ცოდნის შექმნისა და გავრცელების, სტუდენტთა პიროვნული და პროფესიული განვითარების საჭიროებას. მისია ასევე აშკარად ორიენტირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების სამ ძირითად ფუნქციაზე: სწავლება/სწავლა, კვლევა და საზოგადოებრივი ჩართულობა (მესამე მისია). ასევე შეიძლება ითქვას, რომ მისიის განაცხადი ასახავს უნივერსიტეტის თავისებურებებს. გარკვეულწილად დასტურდება გასაუბრების დროს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება იზიარებს ამ მისიას. მისიის განაცხადება საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ვებგვერდი • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წლების პერიოდისთვის (დამტკიცებულია 2018 წელს და განახლებულია 2021 წელს). 2025 წლის 28 იანვარს უნივერსიტეტმა დაამტკიცა ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2031 წლებისთვის.

შემდგომი წლების (2031 წლამდე) სტრატეგიული გეგმა განსაკუთრებულად უსვამს ხაზს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითად ღირებულებებს: ობიექტურობას და სამართლიანობას, განათლებას, ეროვნული ღირებულებების დაცვას, ქველმოქმედებას. დოკუმენტში მოცემულია უნივერსიტეტის SWOT ანალიზიც და წარმოდგენილია ინფორმაცია ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ – უნივერსიტეტის შიგნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ეს სტანდარტული პრაქტიკაა.

შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმაში ოთხი ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი:

1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
2. სტუდენტური სერვისების განვითარება;
3. ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება;
4. ინტერნაციონალიზაცია.

აღნიშნული მიმართულებები გარკვეულწილად დეტალიზებულია.

შესაძლებელია დავეთანხმოთ, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და პრიორიტეტებს. ასევე შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ შერჩეული განვითარების მიმართულებები შეესაბამება დაწესებულების წინსვლის საჭიროებებს. თუმცა ზოგიერთ აქტივობას/მიმართულებას გეგმა ორჯერ მოიცავს (მაგ. კონფერენციების ორგანიზება, აუდიტორიების ტექნოლოგიური განახლება), ზოგი კი განსხვავებული სათაურის ქვეშ არის მოთავსებული (ინფრასტრუქტურის განვითარება განთავსებულია ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარების ნაწილში). ოთხი ძირითადი მიმართულების დეტალიზაცია არ არის დროში გაწერილი და ზოგ შემთხვევაში აკლია მიღწევების გაზომვის მექანიზმებიც.

სამოქმედო გეგმა (2025-2027) მოიცავს შვიდ მიმართულებას:

1. აკადემიური პროგრამების განვითარება;
2. ინფრასტრუქტურის განვითარება;
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;
4. სტუდენტური სერვისების განვითარება;
5. ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
6. უწყვეტი განათლების კომპონენტის (LLL) განვითარება;
7. პერსონალისა და ადმინისტრაციის განვითარება (DPA).

ეს მიმართულებები კომპლექსურია და მოიცავს დაწესებულების განვითარების ძირითად საჭიროებებს. აღნიშნული მიმართულებები (არა ყველა, მაგრამ უმეტესობა – მაგალითად, უწყვეტი განათლების კომპონენტს კონკრეტული ყურადღება არ ეთმობა) დეტალიზებულია აქტივობებად, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი ერთეულები, განხორციელების ვადები, დაგეგმილი ბიუჯეტი და შესრულების ინდიკატორები. თუმცა, დეტალიზაცია თანმიმდევრული არ არის – მაგალითად, კვლევითი საქმიანობის ბიუჯეტთან მიმართული გეგმა არ არსებობს.

უნივერსიტეტი თავისი დაგეგმვის დოკუმენტაციაში ასახავს ქვეყნის სოციალურ განვითარებაში წვლილს, მაგალითად, საზოგადოებრივი ლექციების დანერგვისა და სამეცნიერო პოპულარიზაციის აქტივობების მეშვეობით.

სტრატეგიული გეგმის ის ნაწილი, რომელიც გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას აღწერს, ასევე შეიცავს პარაგრაფს გეგმების განხორციელების მონიტორინგის შესახებ. კონკრეტულად, გეგმაში ნათქვამია: „შესრულების მონიტორინგის ეტაპი... გულისხმობს "ტბელის უნივერსიტეტის" სტრატეგიული გეგმითა და შესაბამისი მოქმედების გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამისათვის შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი ან მისი წარმომადგენელი. ჯგუფის წევრები არიან: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ფინანსური სამსახურის წარმომადგენელი, სტუდენტი. მონიტორინგი ტარდება წელიწადში ორჯერ, აგრეთვე მოქმედების გეგმაში განსაზღვრული პერიოდულობით. მონიტორინგის ჯგუფი ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას ახდენს. “
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2031) • მოქმედების გეგმა (2025-2027) • გასაუბრების შედეგები • ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმებში წარმოდგენილი საქმიანობები/მოქმედების მიმართულებები მკაფიოდ შეესაბამებოდეს სათაურებს და არ ხდებოდეს მათი დუბლირება. • რეკომენდებულია, ყველა საქმიანობისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულების შემთხვევაში, დეტალურად იყოს განსაზღვრული საქმიანობის შინაარსი, პასუხისმგებელი ერთეულები, განხორციელების ვადა, დაგეგმილი ბიუჯეტი და შესრულების მაჩვენებლები.
რჩევები: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. სტრუქტურა მოიცავს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ ძირითად მმართველ ორგანოებს, ასევე მმართველ ორგანოებს დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს, როგორებიცაა დეპარტამენტები და ოფისები. დამტკიცებულია დოკუმენტი „უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და არჩევის წესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს როგორც მმართველი ორგანოების, ისე მათ დაქვემდებარებულ სხვა სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი — რექტორი — უნივერსიტეტის მმართველობითი სტრუქტურის უმაღლესი თანამდებობის პირია და ფლობს უნივერსიტეტში სრულ წარმომადგენლობით და მმართველობით უფლებამოსილებას. ამ უფლებამოსილებაში, სხვა საკითხებთან ერთად, შედის: უნივერსიტეტის ძირითადი აქტების დამტკიცება, სტრუქტურული ერთეულების შექმნა და გაუქმება, ბიუჯეტური რესურსების მართვაზე ზედამხედველობა. რექტორი წარმოადგენს უნივერსიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, აკადემიური პერსონალის მიღებასა და ჩართულობას, სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, მატერიალური რესურსების მართვას და სხვ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა სწავლისა და კვლევითი საქმიანობის ეფექტიანი და კოორდინირებული განხორციელების უზრუნველყოფა. სამსახური ავითარებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმებს, ახორციელებს მონიტორინგს და ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს უწყობს ახალი აკადემიური წლის დაგეგმვას, შუალედური და საბოლოო შეფასებების გამჭვირვალობასა და სწავლების პროცესების გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტური მხარდაჭერის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა შრომის უსაფრთხოების სამსახურიც. სამსახური ახორციელებს შრომის პირობების ინსპექტირებას, ამზადებს, ახორციელებს და აკვირდება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემას; უზრუნველყოფს რისკების შეფასებას, პრევენციასა და მართვას უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და რეგულარულად ატარებს შრომის უსაფრთხოების ტრენინგებს თანამშრომლებისთვის.

დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ზოგადად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესრულებას და მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და კოორდინირებულად ხორციელდება. თუმცა, ოპერაციული ეფექტიანობისა და სტრატეგიული თანხვედრის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულების გამყარება.

ამჟამად სტრუქტურაში არ არის წარმოდგენილი რამდენიმე კრიტიკული ერთეული, როგორცაა სტრატეგიული განვითარების, კვლევების ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტები, რაც ზღუდავს დაწესებულების შესაძლებლობებს სისტემურად შეაფასოს რესურსები, სტრატეგიულად დაგეგმოს და ოპტიმალურად მართოს განვითარება. რეკომენდებულია, რომ აღნიშნული დეპარტამენტები შეიქმნას და ინტეგრირდეს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რათა უკეთ მოხდეს უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების მხარდაჭერა. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულია ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის პოზიცია, თუმცა ამჟამად აღნიშნული თანამდებობა ვაკანტურია.

უნივერსიტეტის კოლეგიური მმართველი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელი. აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის მმართველ ორგანოს და იღებს გადაწყვეტილებებს თავისი სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმათა საფუძველზე. საბჭოს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. აკადემიური საბჭო ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აკადემიურ მობილობასა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებას. ასევე იღებს გადაწყვეტილებებს უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისა და ცვლილებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების თაობაზე. აკადემიური საბჭოს წევრები შეირჩევიან მათი მონაწილეობით საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში, კვალიფიკაციითა და ზოგადი კომპეტენციებით.

უნივერსიტეტის სტრუქტურაში აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) მმართველი ორგანო — ფაკულტეტის საბჭო, და მკაფიოდ განისაზღვროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების საკვანძო თანამდებობები, როგორც ეს დადგენილია წესდებით. ამით გაიზრდება მმართველობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

უნივერსიტეტი აღიარებს მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის პროცესების გამჭვირვალობისა და კანონიერების მნიშვნელობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მმართველ პოზიციებზე დანიშნა და არჩევა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, რაც, საჭიროებისამებრ, მოიცავს კანდიდატების სტრატეგიული ხედვისა და განვითარების გეგმების შეფასებასაც. აღნიშნული პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მენეჯმენტის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, თუმცა დოკუმენტი არასაკმარისად არის დეტალიზებული. აუცილებელია პროცესები უფრო ვრცლად აღიწეროს და უზრუნველყოფილ იქნას ყველა შესაბამისი სტრუქტურის ჩართულობა მის განხილვასა და

განხორციელებაში, ვინაიდან გასაუბრებისას არ დადასტურდა თანამშრომელთა ინფორმირებულობა და ჩართულობა. მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესება შესაძლებელია ყოვლისმომცველი შეფასების მექანიზმების დანერგვით, რომელიც მოიცავს ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ეს ხელს შეუწყობს მუდმივი გაუმჯობესების კულტურის დამკვიდრებას და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და აკადემიური მენეჯმენტის მიზნებთან თანხვედრას.

უნივერსიტეტი ადმინისტრაციული დოკუმენტების ელექტრონული მართვისთვის იყენებს სისტემას „ე-დოკუმენტი“ (e-document). ასევე გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა — „ელექტრონული ჟურნალი“. ამ მიზნით გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება შპს „Posti.ge“-სთან.

დაწესებულება იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პრაქტიკა ასახავს რეგულაციებთან შესაბამისობისადმი ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობას. თუმცა ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია — ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩათვლით — განათლების დაწესებულებების რეესტრში (QMS) სრულყოფილად და დროულად არ ახლდება. საკანონმდებლო მოთხოვნებთან და ინსტიტუციურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს მონაცემთა მართვის პროცესები, რათა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზუსტად და დროულად აწარმოოს ჩანაწერები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, ის საჭიროებს რეგულარულ განახლებას და ყველა რისკის სრულყოფილ იდენტიფიკაციასა და შეფასებას. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს გაძლიერებული რისკების პრევენციისა და მართვის სტრატეგიები, რაც უზრუნველყოფს კრიტიკული პროცესების უწყვეტობას სხვადასხვა სცენარის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ რისკებს, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსების მდგრადობას.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაგეგმილია გარკვეული აქტივობები ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად. უნივერსიტეტმა დასაქმდა პედაგოგი, რომელიც დაეხმარება პერსონალსა და სტუდენტებს ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაში. დაინერგა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი. უნივერსიტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციაში და გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი კონსტანცის უნივერსიტეტთან. მიუხედავად იმისა, რომ გადადგმულია საწყისი ნაბიჯები, აუცილებელია უნივერსიტეტმა დააფორმалოს და გააფართოოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ეს უნდა მოიცავდეს ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერებას, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განვითარებას, და საერთაშორისო კვლევით ქსელებში მონაწილეობის გაზრდას. პროცესის ეფექტიანობისთვის საჭიროა ძლიერი ლიდერობა და თანმიმდევრული განხორციელება, რაც გააუმჯობესებს უნივერსიტეტის საერთაშორისო იმიჯსა და შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის წესდება.
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა.
- სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული დოკუმენტბრუნვის წესი.
- მმართველი ორგანოების უფლებამოსილებების, ფუნქციების და არჩევის წესების დადგენის დოკუმენტი.
- მმართველობის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი.

• ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის („ე-დოკუმენტი“ – e-document) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. • თვითშეფასების ანგარიში. • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დააფუძნოს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები - სტრატეგიული განვითარების, კვლევების მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტები - რათა შეუწყოს ხელი შესაძლებლობების შეფასებასა და მომავალი განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვას. ეს ერთეულები შემდგომ უნივერსიტეტის სტრუქტურაშიც უნდა აისახოს. • რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრუქტურაში, დებულების შესაბამისად, წარმოდგენილი იყოს ძირითადი სასწავლო ერთეულის მმართველი ორგანო და სტრუქტურულ ერთეულებში საკვანძო თანამდებობები შესაბამისი პირებით, რომლებიც რეალურად დაინიშნებიან ამ პოზიციებზე. • რეკომენდებულია მმართველობის (მენეჯმენტის) ეფექტიანობისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და ამ პროცესში ყველა საჭირო სტრუქტურული ერთეულის ჩართვა. • რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (QMS) განახლდეს ადამიანური რესურსების, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში. • რეკომენდებულია, განახლდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რათა ყველა ძირითადი რისკ-ფაქტორი იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული, დანერგილი იყოს შესაბამისი პრევენციის მექანიზმები და შემუშავდეს კომპლექსური რისკის შემცირების სტრატეგია. • რეკომენდებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება, თანამშრომლობის ქსელის გაფართოება და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განხორციელება, რაც გაზრდის უნივერსიტეტის ცნობადობასა და ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას.
რჩევები: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და აანალიზი:

დაწესებულებას გარკვეული პროგრესი ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც მის სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს სწავლების და სწავლის, კვლევითი საქმიანობის, ინსტიტუციური ეფექტიანობის და განსაკუთრებით, უნივერსიტეტის მისიის (განსაკუთრებით მისი მესამე კომპონენტის) შესრულების შეფასებას. აღნიშნულ პროცესს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება უნივერსიტეტში. ეს გულისხმობს უნივერსიტეტის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას საკუთარი საქმიანობის ხარისხზე და აქტიურ მონაწილეობას ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი ჩართულია თვითშეფასების პროცესში: ისინი იღებენ შესაბამის ინფორმაციას და შეფასების შედეგებს; შედეგების განხილვისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით იქმნება ფოკუსჯგუფები, რაც შემდგომ განვითარების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვას ემსახურება. გარდა ამისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ანგარიშვალდებულებას როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების წინაშე. შიდა დაინტერესებული მხარეებისადმი ანგარიშვალდებულება გამოიხატება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გამჭვირვალობითა და შიდა ანგარიშების რეგულარული მომზადებით. გარე დაინტერესებული მხარეებისადმი ანგარიშვალდებულება კი ხარისხის უზრუნველყოფის გარე მოთხოვნებთან შესაბამისობით აისახება, რაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადებისა და გარე შეფასების პროცესებში მონაწილეობით.

დაწესებულება ასევე გამოყოფს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მხარდასაჭერად, რაც სისტემური და მდგრადი ხარისხის მართვისთვის სათანადო პირობებს ქმნის. თუმცა, სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა მისი შემდგომი განვითარება. კერძოდ, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს კონკრეტული შესრულების მაჩვენებლები, რათა შეფასდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გავლენა. ეს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასებას უფრო მეტად სტრუქტურულად და დაეხმარება უნივერსიტეტს იმაში, რომ ხარისხზე მიმართული ძალისხმევა რეალურ, გაზომვად გაუმჯობესებად გარდაიქმნას. ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, მოადგილე და თითო წარმომადგენელი უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტიდან, თუმცა აღნიშნული სტრუქტურა სამსახურის რეგლამენტში ასახული არ არის. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფაქტობრივი შემადგენლობა რეგლამენტში აისახოს.

უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო სისტემა ხელს უწყობს ინსტიტუციური საქმიანობებისა და რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. მმართველი პირები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს გამოიყენებენ დაგეგმვისა და განვითარების პროცესებში. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საკითხები განიხილება

ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე რექტორთან შეთანხმებით. რექტორი თანმიმდევრულად უჭერს მხარს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასების კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. აღნიშნული ინსტრუმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პერსონალის ანგარიშვალდებულებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალის გამოკითხვები ტარდება წელიწადში ერთხელ. პერსონალი ავსებს თვითშეფასების ფორმას, რომელსაც აფასებენ მინიმუმ სამი ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ეს პირები აფასებენ თანამშრომელთა საქმიანობას, ადგენენ მათ პროფესიულ საჭიროებებს და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებას. მათ უკვე შემუშავებული აქვთ 360-გრადუსიანი შეფასების სისტემა, რომლის დანერგვასაც გეგმავენ.

სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგის მექანიზმები დანერგილია და მათი მეშვეობით ხორციელდება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება. თუმცა, ამ მექანიზმების ეფექტიანობისა და გავლენის გასაძლიერებლად რეკომენდებულია უკუკავშირის მექანიზმების განვითარება, მაგალითად, სისტემატურად დოკუმენტირება იმისა, თუ როგორ გამოიყენება აკადემიური მონაცემები ცვლილებების დასაგეგმად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი. ანალიზის შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც მიიღება გადაწყვეტილებები და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

კვლევითი კომპონენტის გამჭვირვალე და სამართლიანი მართვის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს მკაფიოდ გაწერილი აქვს საჩივრის შეტანის მექანიზმები. სტუდენტს აქვს უფლება წარადგინოს საჩივარი შემდეგ შემთხვევებში:

• შეფასებასთან დაკავშირებით —

თუ მიიჩნევს, რომ მიღებული შეფასება არ შეესაბამება მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში

განსაზღვრულ კრიტერიუმებს; არსებობს პროცედურული ხარვეზი (მაგალითად, კონსულტაციების სიხშირე არ ყოფილა დაცული, ან ხელმძღვანელის რეკომენდაციები არ იყო გათვალისწინებული); შეფასება შეიცავს სუბიექტურობას ან არათანმიმდევრულ მიკერძოებას.

• **ხელმძღვანელთან დაკავშირებული პრობლემები —**

თუ წარმოიშვა კონფლიქტი ან კომუნიკაციის წყვეტა ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის, სტუდენტს ეცნობება, რომ შეუძლია მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს/დეკანატის სამსახურს ალტერნატიული ხელმძღვანელის მოთხოვნით; მოითხოვოს შუამავლის ჩართვა პრობლემის მოსაგვარებლად.

• **პროცედურული დარღვევები —**

სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, განაცხადოს პროცესის დარღვევის შესახებ, რაც ეხება: ნაშრომის წარდგენის ვადებს; კონსულტაციების დოკუმენტირების წესებს; ეთიკური ნორმების დარღვევას (მაგ., არასათანადო ქცევა, ინტერესთა კონფლიქტი და სხვ.).

• **საჩივრის პროცედურის ეტაპები —**

საწყისი საჩივარი – წერილობით, შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელთან ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; შიდა განხილვა – შესაბამის კომისიაში ან დეკანატში; გადაწყვეტილების მიღება და კომუნიკაცია – კომისიის წერილობითი პასუხი გონივრულ ვადაში (მაგ., 10 სამუშაო დღეში); მეორეული საჩივარი (არსებობის შემთხვევაში) – უნივერსიტეტის სააპელაციო საბჭოში მიმართვის შესაძლებლობა.

აპელაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია სრულიად კონფიდენციალურია და პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია დაიცვას აკადემიური ეთიკის ნორმები.

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან კონსულტაციებს და პასუხისმგებლობით ეკიდებიან კვლევით პროცესს, წესისამებრ, არ იყენებენ საჩივრის მექანიზმებს — ხელმძღვანელთან წარმატებული ურთიერთობა უმეტესად უზრუნველყოფს ნაშრომის შეუფერხებელ და ეფექტიან შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები/სილაბუსები
- კვლევითი საქმიანობის დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონის სამეცნიერო ნაშრომების კვლევის სიღრმე და ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს და საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, ნაშრომების ფორმალური კრიტერიუმების დაზუსტება და ერთიანი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება, რაც უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმის დანერგვა, რაც

ხელს შეუწყობს სტუდენტზე მორგებული სწავლების პრაქტიკის გაძლიერებასა და აკადემიური პროცესის მოქნილობის გაზრდას.

რჩევები:

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის

შეფასება:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ - ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ - ს (შემდგომში უნივერსიტეტი) შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომლის მიზანია უზრუნველყოს პერსონალის მართვის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან. აღნიშნული პოლიტიკა ადგენს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული

პერსონალის მოზიდვის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარების გამჭვირვალე და სამართლიან პრინციპებს და პროცედურებს.

უნივერსიტეტი ავლენს კომპეტენტური, მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების მკაფიო ვალდებულებას. აკადემიური პერსონალის აყვანა ხორციელდება ღია და გამჭვირვალე კონკურსის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის, უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობას სქესის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დანიშვნა ხორციელდება კონკურსის წესით, აქცენტი კეთდება შიდა კარიერულ ზრდაზე და პროფესიულ განვითარებაზე.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი წინსვლაა ადამიანური რესურსების მართვის ინსტიტუციონალიზაციის და პერსონალთან ურთიერთობების სისტემატური მიდგომის დანერგვის მიმართულებით. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მოვალეობაა აყვანის, შეფასების და პერსონალის განვითარების ღონისძიებების ზედამხედველობა, რაც აძლიერებს ორგანიზაციულ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტის 2025 - 2027 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარების მიზნობრივ ინიციატივებს. დაგეგმილი ღონისძიებები ითვალისწინებს ტრენინგებს თანამედროვე სწავლების მეთოდების, განათლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, სტრატეგიული დაგეგმვის და ადმინისტრაციული პროცესების მიმართულებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი, რომელიც მოიცავს ელექტრონული კითხვარების გამოყენებით პერსონალის ყოველწლიურ თვითშეფასებას, ხელმძღვანელების მიერ შეფასებას და უკუკავშირს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს რეფლექსიურ პრაქტიკას და ანგარიშვალდებულებას, თუმცა აღინიშნა, რომ უკუკავშირის მიწოდება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ძირითადად არაფორმალური და არაპირდაპირია. ადმინისტრაცია პერსონალს არ აწვდის სტუდენტების შეფასებების ფორმალურ ანგარიშს ან ყოვლისმომცველ წერილობით უკუკავშირს, რაც ზღუდავს მიზნობრივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, თუმცა სემესტრული შეფასებების ნაკლებობა აფერხებს პერსონალის საქმიანობის რეგულარულ მონიტორინგს და დროული უკუკავშირის მიწოდებას. შემუშავებულია და შეთანხმებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები, თუმცა აღნიშნული არ ითვალისწინებს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, ქულების მინიჭება და საქმიანობის შედეგების დაკავშირება წახალისების მექანიზმებთან.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის მონაწილეობას კონფერენციებში და ტრენინგებში, სთავაზობს ნაწილობრივ დაფინანსებას და წახალისებას, თუმცა ამჟამად შეზღუდულია ფინანსური რესურსები პროფესიული განვითარებისთვის და წახალისებისთვის. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გამოთქვა სურვილი გაიზარდოს დაფინანსების დამოუკიდებელი წყაროები და შემუშავდეს მდგრადი ფინანსური მოტივაციის სქემები. შესაბამისად, რეკომენდებულია, შემუშავდეს კომპენსაციის და

წახალისების მექანიზმები, იმისათვის, რომ ანაზღაურება დაკავშირებული იყოს შესრულებული სამუშაოს შედეგებთან და უზრუნველყოფდეს აქტიურ ჩართულობას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კოლეგიალურ და მხარდამჭერ სამუშაო გარემოს და აქცენტს აკეთებს პატივისცემაზე, სამართლიანობაზე და სტაბილურობაზე. რთულ გეოგრაფიულ ლოკაციაზე კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დაბალი გადინების მაჩვენებელი მიუთითებს პერსონალის შენარჩუნების ეფექტური პოლიტიკის არსებობაზე. თუმცა, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციურ მართვაში პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა. ამჟამად, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში პერსონალი არჩევის ნაცვლად ინიშნება რექტორის მიერ, რაც მიუთითებს, რომ არსებობს აკადემიური ჩართულობის გაძლიერების და მონაწილეობითი მართვის სტრუქტურების განვითარების პოტენციალი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია ზოგადი პოლიტიკა და პროცედურები, უნივერსიტეტს არ გააჩნია ყოვლისმომცველი, განხორციელებადი პროფესიული განვითარების სტრატეგია ან დეტალური მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მკაფიო ინსტიტუციური დოკუმენტის სახით. შეზღუდულია პერსონალის ჩართულობა კვლევით საქმიანობაში, გრანტების მოძიებაში (მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები) და საერთაშორისო პროექტებში. დასტურდება დაწესებულების სურვილი მოიწვიოს უცხოელი აკადემიური ექსპერტები და გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა, თუმცა აღნიშნული საჭიროებს სისტემატურ მხარდაჭერას და შესაფერის დაფინანსების მექანიზმებს.

სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმები სასწავლო კურსების შეფასებასთან დაკავშირებით, მოიცავს მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტების არაფორმალურ, ზეპირ მოსაზრებებს, ხოლო მაგისტრანტები საერთოდ არ წარმოადგენენ სტრუქტურირებულ უკუკავშირს. უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასებების საფუძველზე ჯერ არ ხორციელდება პერსონალის საქმიანობის შესრულების შედარებითი მონაცემების ან პროცენტული რანჟირების მაჩვენებლების შეგროვება და ანალიზი, რაც ზღუდავს შესაბამისობის დადგენის და უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2021 წლის 25 ივნისის N 01 - 03/05 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- 2019 - 2024 წლების პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში;
- პერსონალის შეფასების წესი.
- საუნივერსიტეტო წესი, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 17 ივნისის N 01 - 03/10 ბრძანებით და შეცვლილია 2023 წლის 10 მარტის N 01 - 03/3 ბრძანებით;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება.
- რექტორის 2021 წლის 10 ნოემბრის N 01 - 03/24a ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, 2021 წლის 28 ივნისის N 01 - 03/07 ბრძანება;
- თვითშეფასების ანგარიში;

• სტუდენტების შეფასების შედეგები - ბიზნესის პროგრამა - 2023 - 2024 წლები; • გასაუბრებები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; • ადგილზე ვიზიტი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, შემუშავდეს ანაზღაურებისა და წახალისების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებთან. • რეკომენდებულია, სტუდენტური და მენეჯერულ დონეზე შეფასებების საფუძველზე ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირის უზრუნველყოფა. • რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების კრიტერიუმების, სამიზნე ნიშნულების სამუშაო აღწერილობებთან შესაბამისობის დაზუსტება და სისტემატიზაცია. • რეკომენდებულია, მრავალწლიანი პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, მათ შორის საერთაშორისო ტრენინგების ჩათვლით. • რეკომენდებულია, ინსტიტუციურ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის არჩევითი მონაწილეობის გაზრდა. • რეკომენდებულია, პერსონალის მხარდაჭერის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე წვდომის მიზნით.
რჩევები: • სასურველია, სტუდენტური უკუკავშირის სტრუქტურირებული მექანიზმები გავრცელდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსების ყოვლისმომცველი შეფასება. • სასურველია, უნივერსიტეტმა შეისწავლოს დამოუკიდებელი დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობა, რაც შეამცირებს დონორებზე დამოკიდებულებას და გააძლიერებს პერსონალის განვითარების დაფინანსებას. • სასურველია, ინსტიტუციური ცოდნის გამდიდრების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, დაინერგოს საერთაშორისო თანამშრომლობის და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობის ფორმალური სისტემა.
საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა
უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო -
კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების
ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და
ანალიზი:**

უსდ-ს სტუდენტების რაოდენობის, პროგრამების საჭიროებების და ლოკაციის საფუძველზე
შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის რაოდენობის და სამუშაო დატვირთვის
განსაზღვრის მკაფიო წესები. პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეესაბამება საქართველოს
შრომის კოდექსს და სასწავლო კურსების განსახორციელებლად მოიცავს კვირაში სულ
მცირე 2 დღეს, 40 საათს. სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება პერსონალის კვალიფიკაციის
შესაბამისად და მორგებულია საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებზე, რაც
უზრუნველყოფს საკანონმდებლო მოთხოვნების და ხელშეკრულებებით
გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

უნივერსიტეტის პერსონალი მოიცავს 67 აფილირებულ აკადემიურ პირს (38 სამეცნიერო და
25 მოწვეული), რომლებიც აქტიურად ახორციელებენ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას.
ხარისხის და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს უნივერსიტეტი გეგმავს
კონკურსის წესით განაახლოს აკადემიური პერსონალის კორპუსი. ხელშეკრულებებში და
აფილირების შეთანხმებებში მკაფიოდ არის აღწერილი პერსონალის უფლებები,
პასუხისმგებლობები და კვლევითი ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს
გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და სამეცნიერო
პერსონალის შეფასების წესი, ის ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და აკლია მკაფიოდ
განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები და გაზომვადი შესრულების ინდიკატორები.
შეფასებები ხორციელდება ყოველწლიურად, თუმცა სასურველია ჩატარდეს უფრო ხშირად
სამუშაო დატვირთვასთან, განხორციელებულ კვლევის შედეგებთან და სწავლების
ეფექტურობასთან დაკავშირებული მკაფიო კრიტერიუმების გამოყენებით.

გაზრდილია კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა და ინტერნაციონალიზაცია,
მათ შორის კონფერენციებში და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში მონაწილეობა.
თუმცა, უნივერსიტეტის გამოწვევას წარმოადგენს საგრანტო განაცხადებში მონაწილეობა
(მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) და ენობრივი ბარიერი,
რაც გავლენას ახდენს საერთაშორისო თანამშრომლობაზე. აღნიშნული საკითხების
გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი გეგმავს ჩაატაროს ენობრივი კომპეტენციების
გაუმჯობესების კურსები, მოამზადოს სამეცნიერო პერსონალი და მოიწვიოს საერთაშორისო
ექსპერტები.

მიუხედავად იმისა, რომ ტბელის უნივერსიტეტი ითვალისწინებს სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და მოიცავს განმავითარებელ გეგმებს, სამუშაო დატვირთვის შეფასების გაუმჯობესება, უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება, კვლევის მხარდაჭერა და დაწესებულების მართვაში პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაზრდის პერსონალის მოტივაციას, პროდუქტიულობას და ზოგადად ინსტიტუციურ ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები;
- სამუშაო დატვირთვის ცხრილები;
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV - ები, დიპლომები, გამოქვეყნებები), რითიც დასტურდება დაკისრებულ აკადემიურ მოვალეობებთან შესაბამისობა;
- აკადემიური პერსონალის სასწავლო საათების და კურსების სემესტრული განაწილება და სამუშაო დატვირთვის მონაცემები;
- პერსონალის შეფასების წესი, ანგარიშები და სამუშაო დატვირთვის შეფასებისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები;
- 2025 წლის აკადემიური პერსონალის აყვანის და პერსონალის შემადგენლობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პერსონალის რეგულარული სემესტრული შეფასებების დანერგვა ფორმალური, დოკუმენტირებული უკუკავშირით.
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვასა და შესრულებასთან დაკავშირებული წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.
- რეკომენდებულია, კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერის გაძლიერება.

რჩევები:

- სასურველია, წახალისდეს უფრო მეტად სტრუქტურირებული ენის სწავლება საერთაშორისო თანამშრომლობაში არსებული ბარიერების დასაძლევად.
- სასურველია, თითოეული ფაკულტეტისთვის შეიქმნას პრიორიტეტული ჟურნალებისა და კონფერენციების სია, რაც კვლევითი პუბლიკაციების ხარისხს გააუმჯობესებს.

სასურველია, დაწესდეს წახალისების მექანიზმები იმ თანამშრომლებისთვის, ვინც ქმნის ახალ კურსებსა და აკადემიურ მასალებს.
საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. - უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტმა წარმოადგინა დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სტუდენტების უფლებები და პასუხისმგებლობები, სტუდენტთა ქცევის კოდექსი, სწავლის უფლება და სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, შიდა და გარე მობილობით ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურები, სტუდენტების შეფასების და გამოცდების ჩატარების წესები, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შესრულების, გაფორმების და შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი და ა.შ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და მოიცავს ინფორმაციას და დამატებით დოკუმენტაციას სტუდენტებისთვის საინტერესო საკითხებზე. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რომელიც

უნდა განახლდეს (ვებ - გვერდზე ატვირთული ვერსია დამტკიცებულია 2017 წლის ბრძანებით, ხოლო ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი ვერსია დამტკიცებულია 2023 წლის ბრძანებით). აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვებ - გვერდი ასევე მოიცავს ინგლისურენოვან ვერსიას, დოკუმენტაციის უმრავლესობა არ არის ნათარგმნი.

უნივერსიტეტი ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის ყოველწლიურად ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს. სტუდენტების თანახმად, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში ისინი ეცნობიან უნივერსიტეტის მისიას, სტრუქტურას, დეკანს, პროგრამების ხელმძღვანელებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც წარმოადგენს სტუდენტს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია;
- ვებ - გვერდი: tbeli.ge
- უნივერსიტეტს და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის ძირითადი საინფორმაციო მასალების, კერძოდ კი, სტუდენტის გზამკვლევის შესახებ ცნობადობა.

საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. აღნიშნულ სისტემაში კურსის ლექტორის მიერ ატვირთულია თითოეული კურსის სილაბუსი, ასევე პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ წვდომა თავიანთ აკადემიურ შედეგებზე. პირველი შეხვედრის დროს ლექტორი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურსის სპეციფიკის შესახებ. შერჩევითი პრინციპით რამდენიმე სილაბუსი შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ განსაზღვრულია სტუდენტების საკონსულტაციო საათები. თუმცა სტუდენტების პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ იყო მკაფიო.

სტუდენტები საჭირო ინფორმაციას იღებენ კურსის ლექტორისგან, პროგრამის ხელმძღვანელისგან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტური მხარდაჭერის სერვისები).

კომუნიკაცია ხორციელდება ჩატის, მესენჯერის და სხვა პლატფორმების მეშვეობით. აღნიშნული მიზნით იქმნება ფეისბუქის ჯგუფები. დამატებით, არსებობს საინფორმაციო დაფა, თუმცა ის არ არის წარმოდგენილი ელექტრონული ფორმით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური მხარდაჭერის და კარიერული განვითარების სამსახური. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შექმნან დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა და სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიაწოდონ უახლესი ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების და ვაკანსიების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა აღნიშნულ მონაცემთა ბაზაზე წვდომა, თუმცა, ის არ იქნა წარმოდგენილი. დასაქმების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას ძირითადად იღებენ ზეპირი კომუნიკაციის მეშვეობით. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს ინფორმაციის გაზიარების ოფიციალური და თანმიმდევრული მექანიზმი (მაგალითად, ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ელ - ფოსტა, უნივერსიტეტის ვებ - გვერდი).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ აქტივობები საკუთარი ინტერესების და შესაბამის პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე. გასაუბრების დროს უნივერსიტეტის სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების წარმომადგენელმა ვერ გაიხსენა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონკრეტული აქტივობები. თუმცა, წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის მიერ 2025 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების სია, რომელიც მოიცავს: ფოლკლორულ შემოქმედებით ღონისძიებას, სტუდენტურ კონფერენციას, შემოქმედებით ღონისძიებას სოფელ დიდ აჭარაში, ხულოს რაიონში, ყოველკვირეულ პოეზიის საღამოებს, სპორტულ მარათონს სხვადასხვა დისციპლინაში, სტუდენტურ პროექტებს "მეტი გამწვანება" და "მოხალისეობა ეკლესიის მშენებლობაში". გარდა ამისა, ივნისში დაგეგმილია მოგზაურობა ისტორიულ ტაოში ტაო - კლარჯეთის სტუდენტებთან ერთად (ზოგიერთმა სტუდენტმა გამოთქვა უკმაყოფილება თანადაფინანსების საჭიროების შესახებ).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება, თუმცა გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს.

გასაუბრებების დროს წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამისმა წარმომადგენლებმა გამოავლინეს უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტები და გააფორმეს მემორანდუმები. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული მემორანდუმები არ წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს. აღინიშნა, რომ პერიოდულად ტარდება კონფერენციები და სტუდენტების მონაწილეობის წახალისების მიზნით მათი თანაავტორობით იქმნება აკადემიური ნაშრომები. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რა ეფექტური ნაბიჯები გადადგა უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული განვითარების გეგმაში დაფიქსირებული სუსტი მხარეები მოიცავს: აკადემიურ / სამეცნიერო სფეროში დაბალ ხილვადობას, იმიჯის და ბრენდინგის დაბალ დონეს, სტუდენტების საერთო საცხოვრებლის არარსებობას, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებას, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის "ერთი ფანჯრის" მიდგომის ნაკლებობას (არ არსებობს ერთიანი სტუდენტური სივრცე), საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას სტუდენტების სხვადასხვა სპორტულ და კლუბურ აქტივობებში ჩართვით და სტუდენტური თვითმმართველობის გაძლიერებას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საკითხები რჩება უცვლელი და სტრატეგიულ გეგმაში კვლავ მითითებულია როგორც სუსტი მხარეები.

უნივერსიტეტში სწავლა უფასოა.

უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტებს უზრუნველყოფს უფასო საერთო საცხოვრებლით. აღნიშნული სტუდენტები არიან ეთნიკური ქართველები საქართველოს

მოსაზღვრე ქვეყნებიდან. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს მათ ყოველთვიური სტიპენდიით და უფასო კვებით.

გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს უნივერსიტეტი და საგანმანათლებლო პროგრამები. ერთ - ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ფილოლოგია ისწავლებოდა პატრიოტული სულისკვეთებით; ჟურნალისტიკის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო მათ თავდაჯერებულობას და რომ მათ ძალიან მოსწონდათ საუნივერსიტეტო გარემო. ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის ირგვლივ არსებული ბუნების სილამაზეს, ხოლო სხვებმა უნივერსიტეტი მოიხსენიეს როგორც სულიერების ცენტრი და ცოდნის ტაძარი.

უნივერსიტეტი ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას კურსდამთავრებულებთან. ყოველწლიურად, ტბელ აზუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის იწვევს კურსდამთავრებულებს. აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტების გარკვეულ ნაწილს ამავე უნივერსიტეტში დასრულებული აქვს ბაკალავრიატი, მათ ჰქონდათ ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების შესახებ და არ უფიქრიათ სხვა უნივერსიტეტებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია;
- ვებ - გვერდი: tbeli.ge
- Facebook გვერდი;
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, რათა შეიქმნას სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირების ინიცირება.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებმა უზრუნველყონ დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარულად გაუზიარონ განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების შესახებ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

რჩევები:

- სასურველია, სტუდენტებში წახალისდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი სპორტულ კლუბებსა და სხვადასხვა აქტივობებში აქტიური ჩართულობის გზით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. კერძოდ: შეიქმნას საერთო სივრცეები სტუდენტებისთვის შეხვედრებისა და კომუნიკაციისთვის; გაუმჯობესდეს და

გალამაზდეს უნივერსიტეტის ეზო და გარე სივრცეები; ჩამოყალიბდეს რეკრეაციული ზონები, მწვანე სივრცეები და მცირე პარკები (სკვერები); მოეწყოს სტუდენტური სივრცეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩართულობას, თანამშრომლობასა და კეთილდღეობას. ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, უნივერსიტეტის იმიჯსა და სტუდენტების კმაყოფილებას.
საუკეთესო პრაქტიკა(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • უფასო განათლება. • საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით / შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კვლევა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ნაწილს. გეგმები საკმაოდ ამბიციურია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია, თუ როგორ მოხდება მათი განხორციელება. სამოქმედო გეგმა მოიცავს ხუთ აქტივობას და მრავალ ამოცანას, მაგრამ მათი შესრულებისთვის არ არის განსაზღვრული ბიუჯეტი. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის პერსონალს აქვს საინტერესო და ღირებული კვლევითი შედეგები. ისინი ხელს უწყობენ რეგიონული და ეროვნული დონეების განვითარებას. ასევე, გასაუბრებების დროს გამოვლინდა სწავლების და კვლევის ურთიერთკავშირის ძალისხმევა გარკვეულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი

ინიციატივა აღსანიშნავია (მაგალითად, სტუდენტის ჩართულობა კვლევაში), ვლინდება მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საჭიროება (მაგალითად, სტუდენტების ნაშრომების ხარისხი). გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის დაარსება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს უნივერსიტეტში კვლევის მხარდასაჭერად. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ოთხი დეპარტამენტი, რომლებიც აერთიანებენ კვლევის სხვადასხვა მიმართულებებს (სოციალური და ჯანმრთელობის მეცნიერებების დეპარტამენტი, სამართლის და საჯარო მმართველობის დეპარტამენტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დეპარტამენტი). ინსტიტუტის საქმიანობა განსაზღვრულია წესდებით. გეგმების ამსახველი დოკუმენტაცია მკაფიოდ ითვალისწინებს ინსტიტუტს. არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი მონაცემები უნივერსიტეტის ეკონომიკურ და სხვა გარე აგენტებთან ფუნდამენტური თუ გამოყენებითი კვლევის მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ. საერთო ჯამში, უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა და შედეგები არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. ზოგადად, კვლევითი საქმიანობა მოითხოვს უფრო მეტ კონცენტრაციას, მართვას და მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული გეგმა (2025 - 2031); • სამოქმედო გეგმა (2025 - 2027); • გასაუბრებები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმაში კვლევის მხარდამჭერი ინიციატივების დაფინანსებასთან მკაფიოდ დაკავშირება. • რეკომენდებულია უნივერსიტეტის კვლევით სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკურ და სხვა ორგანიზაციებთან.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ო უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით / სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტი მხარს უჭერს კვლევით საქმიანობას, თუმცა ამავდროულად აღიარებს, რომ აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთ - ერთ მთავარ გამოწვევას. ვეტანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას. არ არის შემუშავებული კვლევის, განვითარების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. რაც შეეხება ფინანსებს, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კვლევის ხარჯები (კვლევითი ინსტიტუტი, საგამომცემლო საქმიანობა) 2020 - 2021 წლებში შეადგენდა 20.000 ლარს, ხოლო 2022, 2023 და 2024 წლებში 40.000 ლარს. აღნიშნული აჩვენებს, კვლევის დაფინანსების ეტაპობრივი გაუმჯობესების ტენდენციას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შერჩევის საკონკურსო დებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარებას სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობით. მნიშვნელოვანია კვლევის შიდა დაფინანსება, ვინაიდან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არ არის აქტიურად ჩართული საგრანტო კონკურსებში, როგორც საქართველოში (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა) ისე საზღვარგარეთ. აღნიშნული თვალსაზრისით, კვლევის საერთო მხარდაჭერა არასაკმარისია. უნივერსიტეტი გეგმავს აკადემიურ პერსონალს შესთავაზოს ტრენინგი კვლევის დაფინანსების საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით. შეზღუდულია მტკიცებულება უნივერსიტეტის მიერ ახალი პერსონალის მოზიდვის და კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის შესახებ. ასევე, დაბალია კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო განზომილება. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები კონსტანცის ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი) და როსტოვის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან (რუსეთი). ასევე,

დაგეგმილია თანამშრომლობა რამდენიმე სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ზემოაღნიშნულ დაწესებულებებთან თანამშრომლობა არ არის ინტენსიური. ასევე, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე ზღუდავს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული გეგმა (2025 - 2031);
- სამოქმედო გეგმა (2025 - 2027);
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების დინამიკა 2015-2019 და 2020-2024 წლებში;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვლევითი საქმიანობის საკმარისი შიდა დაფინანსების უზრუნველყოფა კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში (საპროექტო განაცხადის მომზადებიდან დაწყებული, კვლევის განხორციელებით გაგრძელებული და კვლევის შედეგების გამოქვეყნებით დამთავრებული).
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის მომზადება კვლევითი საპროექტო განაცხადის დაწერის ცოდნასა და უნარებში, რომლებსაც გარე კონკურსებში წარმატების შანსი ექნებათ.
- ასევე რეკომენდებულია ეფექტური ნაბიჯების გადადგმა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისკენ.
- რეკომენდებულია, კვლევის მიმართულებით კავშირების დასამყარებლად, დაწესებულებამ გამოიყენოს მოწვეული პერსონალის გამოცდილება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევის მართვის და განვითარების ეფექტური გეგმა.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს	გააჩნია	კვლევითი/შემოქმედებითი	საქმიანობის
ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.			

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების წესი, რომელიც ასევე აფასებს მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები (როგორიცაა სამეცნიერო კონფერენციებში ან მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა, სამეცნიერო გამოქვეყნებები / გამოგონებები / პატენტები, გამარჯვებულ ან დაფინანსებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა და ა.შ.), რომლებიც ასევე ითვალისწინებს ქულობრივ რანჟირებას (მაღალი, კარგი, დაბალი). თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ როგორ მიიღწევა აღნიშნული დონეები ან რომელი მიზნობრივი ინდიკატორები უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასება ძირითადად დამოკიდებულია შემფასებლის სუბიექტურ პოზიციაზე.

გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ კვლევითი საქმიანობის შეფასება ძირითადად ეფუძნება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების შესახებ CV - ებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა კვლევის და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების და ანალიზის წესი, ასევე სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების საქმიანობის შეფასების წესი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს აღნიშნულ შეფასებებს, მნიშვნელოვანი ხარვეზია მათში აკადემიური / კვლევითი პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მკაფიო სამიზნე ნიშნულების არ არსებობა. პროცესის სანდოობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამიზნე ნიშნულების დადგენა და რეგულარული, სტრუქტურირებული შეფასებების ჩატარება. სამიზნე ნიშნულებით შესაძლებელი იქნება განხორციელდეს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილებები.

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტი ცდილობს უზრუნველყოს გამჭვირვალობა. თუმცა, აღნიშნული ხორციელდება არათანმიმდევრულად. უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს განხორციელებული კვლევის და შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშები, შეიმუშავოს ფორმალური ანგარიშგების ციკლი (მაგალითად, ყოველწლიურად), უზრუნველყოს ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობა, რომლებშიც ასახული იქნება შედეგები და ინსტიტუციური პრიორიტეტები. ანგარიშები ასევე უნდა ასახავდეს სამიზნე ნიშნულების მიღწევას და გასაუმჯობესებელ სფეროებს.

უნივერსიტეტს გადადგმული აქვს ნაბიჯები კვლევის შეფასების და ანგარიშგების ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით. თუმცა, კონკრეტული სამიზნე ნიშნულების დადგენა და სისტემატური, შედეგზე ორიენტირებული შეფასებების განხორციელება აუცილებელია დაწესებულების კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების

ეფექტურობისთვის და სანდოობისთვის. მიღწეული ან გამოტოვებული სამიზნე ნიშნულების მონიტორინგი გააძლიერებს დაწესებულების კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულად და ეფექტურად მართვის შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • პერსონალის შეფასების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია აკადემიური/კვლევითი პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების რეგულარული შეფასება, რასაც მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი მიღწეული შედეგების საფუძველზე. • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოაქვეყნოს ანგარიშები განხორციელებული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და

ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.	სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა იზრდება 21 - დან 22 - მდე, ხოლო 2028 - 203- წლებში დაგეგმილია სტუდენტების რაოდენობის გაზრდა 1121 - დან 1500 - მდე. დაგეგმილია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა 63 - დან 124 - მდე. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სივრცე შეადგენს 5164.01 კვადრატულ მეტრს, ხოლო დამხმარე ფართი - 3787.39 კვადრატულ მეტრს. დაწესებულებამ წარმოადგინა უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ერთის მხრივ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის, სხალთის ეპარქიის არქიეპისკოპოს უწმინდეს სპირიდონს და მეორეს მხრივ, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს შორის (ნოტარიული აქტი N - 129, დამოწმებული 02.12.2021). იჯარის ხელშეკრულების ვადაა 10 წელი. წარმოდგენილია საკადასტრო გეგმა კოდით 24.07.03.385. შენობა - ნაგებობის აზომვით ნახაზში არ არის გამოიჯნული საგანმანათლებლო და დამხმარე ფართი. ინფორმაცია შენობა - ნაგებობების შესახებ წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ამონაწერში (N 882022290484 - 29/04/2022 12:31:32), სადაც განსაზღვრულია, რომ ნაკვეთი არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულებისაა და მთლიანი ფართობი შეადგენს 61776.00 კვ.მ - ს. დოკუმენტში შენობა - ნაგებობები აღწერილია ფართობის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულების მთლიანი ფართობი შეადგენს 8951.4 კვ.მ - ს. სასწავლო სივრცე მოიცავს, საკლასო ოთახებს, საკონფერენციო დარბაზს, საპროფესოროებს, სადაც პროფესორები სტუდენტებს უწევენ კონსულტაციას, სასწავლო / სამეცნიერო - კვლევით ლაბორატორიებს და ბიბლიოთეკას.
--	--

შენობის შიდა სივრცე მოიცავს ფოიეს, სალექციო დარბაზს / დარბაზებს, ადმინისტრაციულ საცავებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეს, სანიტარულ კვანძებს, ბიბლიოთეკას, დარგობრივ ლაბორატორიებს, სასწავლო ოთახებს და არქივს. უნივერსიტეტს აქვს უფასო საცხოვრებელი სივრცეები სტუდენტების და პროფესორების განსათავსებლად. ვიზუალური დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ საჭიროა აღნიშნული სივრცეების გაუმჯობესება.

დამატებითი დოკუმენტაციის სახით ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა:

- მოძრავი ქონების ხელშეკრულებები,
- დამზმარე ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები,
- სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები,
- გათბობის და ვენტილაციის სისტემის სათანადო ფუნქციონირების და ექსპლოატაციის პერიოდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,
- სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,
- რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის დოკუმენტი, ასევე ხელშეკრულება მოძრავი ქონების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტს გადაეცა 10 წლის ვადით ამოღების უფლებით. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია მოძრავი ქონების ჩამონათვალი, რომელიც ასევე აღწერილია ინვენტარიზაციის აქტში.

